,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებულ პროფესორთა სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხდების შესახებ''
რექტორის
2023 წლის 15 დეკემბერის №322/01-01 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული
კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 იანვრის №3/2024
დადგენილებით დამტკიცებული კომისიის

ოქმი N3 (შემაჯამებელი, კორექტირებული ოქმი)

ქ. თბილისი 31 იანვარი 2024 წელი; 14:00 სთ.

სხდომას ესწრებოდა კომისიის ყველა წევრი: 1. პროფესორი თამარ გაგოშიძე (კომისიის თავმჯდომარე); 2. პროფესორი ლალი სურმანიძე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე); 3. ასოცირებული პროფესორი თამარ აბაშიძე (კომისიის მდივანი); 4. ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი; 5. პროფესორი მანანა გაბაშვილი; 6. პროფესორი დავით ძიძიგური.

დღის წესრიგი:

1. გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის მიზნით კენჭისყრის ჩატარება
2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტში, თსუ-ის რექტორის 2023 წლის 15 დეკემბერის №322/01-01 ბრძანების საფუძველზე, ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კონკურსანტის შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება.
3. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

1. გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის მიზნით ჩატარდა კენჭისყრა.

   კომისიის მდივანმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ აბაშიძემ კომისიის წევრებს წარუდგინა წინასწარ მომზადებული ბიულეტენები ხელმოსაწერად. ბიულეტენების რაოდენობა -6. მან კომისიის წევრებს წარუდგინა ყუთი, რომელიც კომისიის წევრების წინაშე გაიხსნა. წევრები დარწმუნდნენ, რომ

ყუთი ცარიელი იყო. კომისიის მდივანმა კომისიის წევრების წინაშე ქაღალდის საშუალებით დალუქა ყუთი, რომელიც დამოწმდა კომისიის წევრების ხელმოწერებით. კომისიის წევრებს დაურიგდათ კომისიის ყველა წევრის მიერ ხელმოწერილი ბიულეტენები, სულ 6 ბიულეტენი, ხმის მისაცემად. კენჭისყრის დასრულების შემდეგ კომისიამ აირჩია ხმის დამთვლელი ჯგუფი: ასოცირებული პროფესორი მანანა მელიქიშვილი და პროფესორი მანანა გაბაშვილი. გამოყენებული ბიულეტენია - 6, გაფუჭებული -0. კენჭისყრის შედეგების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე შორენა მამუკაძის გამარჯვებულად გამოცხადების მომხრე არის - კომისიის 6 წევრი, წინააღმდეგი - 0 წევრი.

2. კომისიის მიერ გაანალიზდა და შეჯერდა კონკურსის ორივე ეტაპისა და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის 1 საკონკურსო აკადემიურ თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა- შორენა მამუკაძემ.

საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატისგან მიღება-ჩაბარების აქტით გადმობარებული დალუქული საკონკურსო დოკუმენტაციის გახსნის შემდეგ პირველ ეტაპზე კომისიის წევრებმა შეისწავლეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საბუთები.

შეფასების პირველ ეტაპზე, შორენა მამუკაძემ I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს"; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიაში (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) მიიღო მაღალი შეფასება.

შორენა მამუკაძე თსუ-ში ასწავლიდა 2003 წლიდან 2008 წლამდე როგორც მოწვეული ლექტორი, ხოლო 2008 წლიდან- როგორც ასისტენტ პროფესორი. მას სწავლების დიდი გამოცდილება აქვს ისეთ სპეციფიკურ საგნებში ბაკალავრიატის დონეზე, როგორიცაა ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები, კოგნიტური ფსიქოლოგია, კვლევითი ნაშრომი, რომელიც პრაქტიკული კურსია და სტუდენტებს კვლევითი ჩვევების გამომუშავებაში ეხმარება; ასევე პრაქტიკული კურსია ვექსლერის ინტელექტის სკალა ბავშვებითვის, რომლის ფარგლებში სტუდენტები სწავლობენ დიაგნოსტიკური ტესტის ჩატარებას და შედეგების დამუშავებას. სამაგისტრო დონეზე მას მიჰყავდა კურსები: ბავშვის ნეიროფსიქოლოგია, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ქცევის მართვა, ბავშვის

განვითრების დარღვევების დიაგნოსტიკა. შორენა მამუკაძეს ღრმა ცოდნა და დიდი პრაქტიკული გამოცდილება აქვს როგორც ზრდასრულების, ისე ბავშვების ნეიროფსიქოლოგიაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მიმდინარე კვლევები 1-6 წლამდე ასაკის ბავშვების ენისა და მეტყველების ათვისების კანონზომიერების და დიაგნოსტიკური ტესტის შექმნის საკითხებზე.

კანდიდატი ამზადებს ახალ კურსს და სასწავლო მასალებს ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლებში.

შორენა მამუკაძის მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევით კონცეფციაში მკაფიოდ იკვეთება ენისა და მეტყველების კვლევის ნეიროფსიქოლოგიური, განვითარების, ნეიროლინგვისტური და კოგნიტური ასპექტები. მისი თეორიული ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება და კვლევითი ექსპერტიზა ბავშვების და ზრდასრულების ენისა და მეტყველების დარღვევების ნეიროფსიქოლოგიური და ნეიროლინგვისტური მექანიზმების შესწავლისთვის უნიკალური შესაძლებლობაა. განსაკუთრებით სასარგებლოა მის მიერ განხორციელებული კვლევითი პროექტების პრაქტიკული გამოყენება განათლების სისტემაში- ფონოლოგიური გადამუშავების როლი ენის განვითარების დარღვევებსა და კითხვის ათვისებისას. ასევე ყურადსაღებია ქართულენოვანი პოპულაციისთვის 6 წლამდე ასაკის ბავშვების ენისა და მეტყველების შესაფასებელ ინსტრუმენტის შექმნა, რადგანაც დღეს არ არსებობს ასეთი სტანდარტული, ქართულ ენაზე მორგებული ტესტი, რაც ბავშვის ენის განვითარებაში პრობლემების დროულ აღმოჩენას აბრკოლებს.

განსაკუთებული აღნიშვნის ღირსია შორენა მამუკაძის ექსპერიმენტული კვლევები ზრდასრულთა ენის დარღვევების ტვინის მექანიზმების შესასწავლად. მისი დოქტორანტი ააჰენის უნივესიტეტში იკვლევს აფაზიის მქონე პაციენტების ენობრივ პროდუქციას ტრანსკრანიალური მაგნიტური სტიმულაციისა და ფუნქციურ-მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის საშუალებით. ეს ერთობლივი კვლევები საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის მყარი საფუძველია.

გამოცხადებულ ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე შორენა მამუკაძის კანდიდატურას ფარული კენჭისყრის შედეგად ერთხმად დაუჭირა მხარი (6 - მომხრე, 0- წინააღმდეგი).

გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პედაგოგიური და პროფესიული უნარები, მისი გადმოცემისა და მეტყველების კულტურა. გასაუბრებისას ნათლად გამოჩნდა შორენა მამუკაძის პროფესიონალიზმი, მისი პედაგოგიური მიდგომების ეფექტურობა, სამეცნიერო კვლევის პრაქტიკული,

გამოყენებითი მნიშვნელობა და ნეიროფსიქოლოგიის დარგის განვითარებისთვის ზრუნვა საქართველოში.
აღინიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მომავალი ნეიროფსიქოლოგების პროფესიული დახელოვნებისთვის ის კლინიკური ბაზა, რომლის დირექტორიც შორენა მამუკაძეა. ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ბაკალავრები და მაგისტრები მისი ზედამხედველობის ქვეშ იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც მათი პროფესიული საქმიანობისა და წარმატებით დასაქმების აუცილებელი პირობაა.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ კონკურსანტის განათლება, პედაგოგიური გამოცდილება, სამეცნიერო ინტერესები შეესაბამება დასაკავებელი აკადემიური თანამდებობის, ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის მოთხოვნებს. შორენა მამუკაძის პრაქტიკული, კვლევითი და პედაგოგიური გამოცდილება მნიშვნელოვანია კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის და ნეიროფსიქოლოგიის დარგის შემდგომი განვითარებისთვის.

ერთხმად დაადგინეს:

1. თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის კოგნიტური და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში (ერთი საშტატო ერთეული -„ბ“ კატეგორია) გამარჯვებულად ერთხმად გამოცხადდეს შორენა მამუკაძე.
2. შესარჩევის კომისიის შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს თსუ ვებ–გვერდზე და წარედგინოს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

კომისიის თავმჯდომარე: პროფესორი თამარ გაგოშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: პროფესორი ლალი სურმანიძე

კომისიის მდივანი: ასოცირებული პროფესორი, თამარ აბაშიძე

მანანა მელიქიშვილი, ასოცირებული პროფესორი

მანანა გაბაშვილი, პროფესორი, ჯიპა

დავით ძიძიგური, პროფესორი, სტუ.